



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.9222125001

თარიღი:05/05/2022

**"ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო ინსპექტირების
ჯგუფის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის
3 მაისის №92.922212313 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ:

მუხლი1. შევიდეს ცვლილება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამშენებლო ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 3 მაისის №92.922212313 ბრძანების მე-5 მუხლში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

"**მუხლი 5.** ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ჯგუფის მუშაობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ჯგუფის უფროსმა შესყიდვის ხელშეკრულება საკონტროლებლად უნდა გადასცეს ჯგუფის ორ წევრს.
- ჯგუფის ორი წევრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ როგორც შესრულებული სამუშაოს შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან, ასევე შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეკრულების/პროექტის დაკორექტირების, გაუთვალისწინებელი ხარჯის დამატების შესახებ დასკვნების მომზადებას.
- ჯგუფის იურისტი აკონტროლებს წინამდებარე ხელშეკრულების სამართლებრივ ნაწილს, მათ შორის აკონტროლებს ვადებს, ითვლის პირგასამტეხლოს ოდენობას, ამზადებს/ავიზებს ჯგუფის მიერ მომზადებულ კორესპონდენციას.
- ხელშეკრულების ფარგლებში წარმოებულ დოკუმენტებზე/დასკვნებზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ჯგუფის უფროსს და ხელშეკრულების მაკონტროლებელ ორ წევრს."

მუხლი2. ბრძანების ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელად.

მუხლი3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

